PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი*

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ფერმერი“ და „რძის პროდუქტების წარმოება“)**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ქეთევან ბოტკოველი

**წევრი:**

თამარ ახალაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

**დაწესებულების სახელწოდება:** შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია

**ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**საიდენტიფიკაციო კოდი:** [redacted]

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

2021 წლის 29 აპრილის MES 6 21 0000429157 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი. წევრი: თამარ ახალაძე) დაევალა შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 7 მაისს, 10 სთ-დან განხორციელდა ჩართვა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს და ბიბლიოთეკარს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის გარემოს ონლაინ დათვალიერება: სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სველი წერტილები და შენობაში განთავსებული სხვა სივრცეები. განხორციელდა ასევე საგანმანათლებლო პროგრამების „ფერმერი" და „რძის პროდუქტების წარმოება" მატერიალური რესურსის დათვალიერება. ასევე, განხორციელდა ჩართვა ფერმიდან და ექსპერტები გაესაუბრნენ თითქმის პრაქტიკის ყველა ობიექტის წარმომადგენელს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურადაა ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

PDF Eraser Free

## III ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1) პსდ-ს მისია | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 4) ადამიანური რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 4.2) პერსონალის განვითარება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.3) ფინანსური რესურსები | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

PDF Eraser Free

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*

არ დაფიქსირებულა

**V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა**

ორგანიზაციაში აქამდე ვიზიტი არ განხორციელებულა

**VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*არ დაფიქსირებულა*

**VII. რეკომენდაციების შეჯამება**

**შესაბამისობის რეკომენდაცია:**

***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ვადების დაცვით, შეასრულოს სტანდარტის შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები:***

*წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით,* იდენტიფიცირებულია შეუსაბამოები და დაგეგმილია განსახორციელებელი აქტივობები, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მე-5 და მე-2 სტანდარტებთან მიმართებაში. შესაბამისობის გეგმის თანახმად, დაწესებულება გეგმავს 6 თვის ვადაში უზრუნველყოს დაწესებულება ყველა საჭირო მატერიალური რესურსით. გეგმაში აღწერილია შეუსაბამოები სტანდარტისა და კომპონენტის მითითებით (2.2.1; 5.1.1; 5.1.2 შეფასებულია მეტწილად), განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, დაწყება/დასრულების სავარაუდო თარიღები, განმახორციელებელი პირი (მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი) და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი), მითითებულია ასევე განხორციელებაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ჩართული სხვა მხარეები (ავეჯისა და ტექნიკის კომპანია; გენერალური კონტრაქტორი - სამშენებლო კომპანია შპს „ინტეკი“; დანადგარების მომწოდებელნი), დაფინანსების წყაროდ მითითებულია დონორი ორგანიზაცია და თვითდაფინანსება, განსაზღვრულია თანხის ოდენობა და ასევე რისკების ალბათობა.

**ეს შეუსაბამოებებია:**

5.1.1.1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

**შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:**

დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების მობილიზებას

(დაწყების ვადაა 10 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

**შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:**

დაწესებულებას ექნება მდგრადობის შესახებ დასკვნა,

დაწესებულება მოიპოვებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნას

(დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

5.1.2.4, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:**

PDF Eraser Free
განხორციელდება დაწესებულების გარე და შიდა პერიმეტრზე ვიდეოკამერების მონტაჟი

(დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; -

**შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:**

განხორციელდება ფერმერის და რძის პროდუქტების წარმოების პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების მობილიზება დაწესებულებაში

(დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

**წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან განსაზღვრული ვადებით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულყოფილად შესრულებას.**

**განმავითარებელი რეკომენდაცია:**

**5.2.1.1.** ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ პროცესების სრულყოფილად წარმართვის მიზნით უზრუნველყოს დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის დროული შესყიდვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში**

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში. კოლეჯის დამფუძნებლებმა, შვეიცარიაში ერთ-ერთი წამყვანი აგრარული სკოლის – პლანტაჰოფის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, რომელიც შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით ხორციელდება, შეიმუშავეს კოლეჯის კონცეფცია. ორივე მხარე, საქართველოს ტერიტორიების კვლევის შედეგად მივიდა გადაწყვეტილებამდე დმანისში, და კერძოდ სოფელ სარკინეთში, დაეფუძნებინათ კოლეჯი, რომლის ძირითადი მიმართულება სოფლის

PDF Eraser Free

მეურნეობა იქნებოდა. გადაწყვეტილება აისახა კოლეჯის მისიაშიც, რომლის თანახმად კოლეჯმა აიღო ვალდებულება - შექმნას ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, პროფესიული განათლების თანამედროვე საგანმანათლებლო კერა, სადაც დაინტერესებული პირები, განვითარებად სასწავლო და სამეწარმეო გარემოში, შეიძენენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს; შეძლებენ რესურსეფექტურად, სუფთა წარმოების (cleaner productione) და გარემოსდაცვითი პრინციპების გათვალისწინებით განახორციელონ პროფესიული საქმიანობა, რითაც ხელს შეუწყობენ საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებას, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.“

წარმოდგენილი მისია შესაბამისობაშია საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.**

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილ მისიაში კარგად ჩანს, რომ დაწესებულებას არჩეული აქვს მონოპროფილური მიმართულება - სოფლის მეურნეობა და განსაზღვრულია აქვს, ასევე მისი როლი განათლების სისტემაშიც - საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების ხელშეწყობა.

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

დაწესებულების ხედვაა უზრუნველყოს სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვა; გაუზიაროს სტუდენტებს, მსმენელებსა და პერსონალს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, გააცნოს ინოვაციები, რესურსების გამოყენების თანამედროვე გზები, განავითაროს კოლეჯსა და ბიზნესს, დაინტერესებულ მხარეებს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმები. ამ პრინციპების გათვალისწინებით დაწესებულება გეგმავს ხუთ წელიწადში გახდეს წამყვანი დარგობრივი კოლეჯი, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც დმანისის რეგიონში, ისე ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული სფეროების განვითარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

მთავარ ღირებულებებად განსაზღვრულია: თანამშრომლობა, თვითგამოხატვის თავისუფლება, ღიაობა, გუნდურობა, პროფესიონალიზმი და მდგრადი განვითარება.

**წარმოდგენილი ხედვაც და ღირებულებებიც დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს.**

**4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროდ ხელმისაწვდომობას, ხოლო მათი შემუშავების პროცესში, როგორც პროცესის ამსახველი დოკუმენტის, ფოტომასალის გაცნობის და დისტანციური გასაუბრების შედეგებით დადგინდა, ჩართული იყვნენ დაწესებულების დირექტორი, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დამფუძნებლები, პარტნიორი ორგანიზაცია „პლანტაჰოფი“ (შვეიცარია) და „ექსპერტირი“ (შვეიცარია), მოწვეული კონსულტანტები და პოტენციური განმახორციელებლები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- დაწესებულების ვებგვერდი https://sasc.ge/;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- დაწესებულების კონცეფციაზე და მისიაზე მუშაობის  ამსახველი ფოტოები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

#### 1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

PDF Eraser Free

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

დაწესებულებაში შემუშავებულია და შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 4 მარტის № 5 ბრძანებით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისა და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიურ საფუძველს. დოკუმენტის გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ის შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და განმარტებების საფუძველზე და მიზნად ისახავს კოლეჯის სტრატეგიული და მიმდინარე სამოქმედო გეგმების შექმნისა და განვითარების პროცესის მართებულად წარმართვას. წარმოდგენილი წესით განსაზღვრულია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების, სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პერიოდში ჩატარებული შეხვედრების ამსახველი ფოტოების და შესაბამისი ოქმების გაცნობის შედეგად, ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ჩართული იყვნენ შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორი, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დამფუძნებლები, პარტნიორი ორგანიზაცია „პლანტაჰოფი" (შვეიცარია) და „ექსპერტირი" (შვეიცარია), მოწვეული კონსულტანტები. ასევე, წარმოდგენილი ანგარიშებით დგინდება, რომ 2020 წლის თებერვალში დაწესებულების დამფუძნებლები, პარტნიორი ორგანიზაციები UNDP, SDC (შვეიცარიის განვითრების სააგენტო) და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ შვეიცარიაში სამუშაო ვიზიტით პლატაჰოფის წარმომადგენლებთან. განხორციელდა არაერთი შეხვედრა/მოლაპარაკება საქართველოში დაინტერესებულ მხარეებთან: დმანისის მუნიციპალიტეტის მერთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს წარმომადგებლებთან, ადგილობრივ ფერმერებთან, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. შესაბამისად, **სტრატეგიული გეგმა შემუშავდა თანამონაწილეობითი პრინციპით და გათვალისწინებულია ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021- 2027) შემუშავებულია არსებული სიტუაციის და გამოწვევების ანალიზის (SWOT ანალიზი) საფუძველზე და დამტკიცებულია შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 5 მარტი № 6 ბრძანებით. სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და მიდგომებს. ის მოიცავს 6 სტრატეგიული მიზანს: ორგანიზაციული განვითარება; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება; საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების განვითარება და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება; საზოგადოებასთან ურთიერთობა; დარგის განვითარების ხელშეწყობა. ყოველი მიზანი ჩაშლილია ამოცანებად, რომელთა კრიტერიუმების შესრულებაც გაწერილია წლების მიხედვით, მითითებულია პასუხისმგებელი პირები და შესრულების იინიკატორები. სტრატეგიული განვითარების გეგმა მკაფიოდ წარმოაჩენს განვითარების შესაძლებლობებს, არსებულ გამოწვევებს და მათი დაძლევის მექანიზმებს. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები სრულად თავსებადია მისიასთან.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ასევე დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2022), რომელიც დირექტორის ამავე ბრძანებით არის დამტკიცებული. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ითვალისწინებს იმავე მიზნებს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ამოცანებს, დოკუმენტით განსაზღვრულია ამოცანების შესრულების ვადები, ინდიკატორები, რესურსები, შესაბამისი დაფინანსების წყაროები და პასუხისმგებელი პირები.

სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე და მისი გათვალისწინებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გეგმა, რომლითაც იდენტიფიცირებულია შეუსაბამოები და დაგეგმილია განსახორციელებელი აქტივობები, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მე-5 და მე-2 სტანდარტების მატერიალურ რესურსთან მიმართებაში. შესაბამისობის გეგმის თანახმად, დაწესებულება გეგმავს 5 თვის ვადაში უზრუნველყოს დაწესებულება ყველა საჭირო მატერიალური რესურსით. გეგმაში აღწერილია შეუსაბამოები სტანდარტისა და კომპონენტის მითითებით (2.2.1; 5.1.1; 5.1.2 შეფასებულია მეტწილად), განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, დაწყება/დასრულების სავარაუდო თარიღები, განმახორციელებელი (მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი) და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი), მითითებულია ასევე განხორციელებაში ჩართული სხვა მხარეები (ავეჯისა და ტექნიკის კომპანია; გენერალური კონტრაქტორი - სამშენებლო კომპანია შპს „ინტეკი"; დანადგარების მომწოდებელნი), დაფინანსების წყაროდ მითითებულია დონორი ორგანიზაცია და თვითდაფინანსება, განსაზღვრულია თანხის ოდენობა და ასევე რისკების ალბათობა (5%).

**ეს შეუსაბამოებებია:**

5.1.1.1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

**შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:**

დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების მობილიზებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

(დაწყების ვადაა 10 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

PDF Eraser Free

5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

**შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:**

დაწესებულებას ექნება მდგრადობის შესახებ დასკვნა,

დაწესებულება მოიპოვებს  სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნას

(დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

5.1.2.4, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:**

განხორციელდება დაწესებულების გარე და შიდა პერიმეტრზე ვიდეოკამერების მონტაჟი

(დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; -

**შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

განხორციელდება ფერმერის და რძის პროდუქტების წარმოების პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების მობილიზება დაწესებულებაში

(დაწყების ვადაა 14 აპრილი, ხოლო დასრულების ვადა 10 სექტემბერი).

**წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესეულებას განსაზღვრული აქვს მისიასთან თავსებადი მიზნები და დასახული აქვს მისი განხორციელების გზები, ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.**

**წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან განსაზღვრული ვადებით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულყოფილად შესრულებას.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 4 მარტის № 5 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია,";
- შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 5 მარტი № 6 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027) და სამოქმედო გეგმა (2021-2021);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free
დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ერთლიანი სამოქმედო გეგმით (ამოცანა 1.1.3) დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შეზამისი აქტივობების გატარება, რითაც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგს, ხოლო „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის" მე-3 (3.10) მუხლით, განსაზღვრულია, რომ - სტრატეგიული დაგეგმვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით განხორციელებული თანამშრომლობითი პროცესია, რომელიც ხორციელდება დემინგის მოდელის შესაბამისად. შესაბამისად გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ჩასატარებლად, დირექტორის ბრძნებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი დაწესებულების თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით და ასევე სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

დაწესებულების დირექტორთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების, ასევე წარმოდგენილი „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის" გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია ყოველწლიურად განახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანალიზს, შეფასებას და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანას, შემდგომი განვითარების მიზნით. ამ ამოცანის შესასრულებლად განსაზღვრულნი არიან ხარისხის მართვის მენეჯერი და ადმინისტრაციის წამომადგენლები თავიანთი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო პასუხისმგებელი პირი დირექტორია. მათივე განმარტებით, თუ დაგეგმვის მიმდინარე წელს გაწერილი აქტივობები სრულად ვერ შესრულდება, მოხდება გამომწვევი მიზეზების დადგენა, შეიკრიბება სამუშაო ჯგუფი (ჯგუფში შევა უპირატესად ყველა ის პირი, ვინც პასუხისმგებელი იყო

PDF Eraser Free

კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე) საჭიროების შესაბამისად დაკორექტირდება სამოქმედო გეგმა ან შემუშავდება დამატებითი რეაგირების გეგმა, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მუდმივ განვითარებას.

**3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

„სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად განსაზღვრულია ასევე, რომ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები იქნება საჯარო, მისი გაზიარება მოხდება საანგარიშო შეხვედრაზე და დაიდება დაწესებულების ვებ-გვერდზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შდეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.1 პროფესიული სტუდენტების  უფლებების დაცვა

### 3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 12 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, განათლების აღიარების, სტატუსის აღდგენის, მობილობის წესები, შეფასების რეგულაციები, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვების, აღრიცხვისა და შენახვის წესს, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს, კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის და მისი დანართის გაცემის, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის მართვის სხვა წესებს/პროცედურებს და პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა უფლებები და კერძოდ,

- მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
- ისარგებლოს დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დოკუმენტით განსაზღვრულია სტუდენტის უფლება (6.2.9) საკუთრი ინტერესების შესაბამისად დააფუძნოს თავისუფლად პროფესიული თუ სტუდენტური ორგანიზაციები, ან გაერთიანდეს ასეთ ორგანიზაციაში. კოლეჯი ხელს არ უშლის ასეთი ორგანიზაციის/გაერთიანების შექმნას.

ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ვალდებულებები, რაც გულისხმობს კანონმდებლობის, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვას და ასევე, განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის საკითხები. არსებული რეგულაციით დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეგულაციის შესაბამისად და დაწესებულების ეთიკის ნორმების გათვალისწინებით. დოკუმენტში აღწერილია ყველა შესაძლო გადაცდომის შემთხვევები და შესაბამისი გადაცდომის მართლზომიერი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს: გაფრთხილება; მატერიალური ზიანის ანაზღაურება/დაჯარიმება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში შექმნილი შიდა რეგულაციებით, უზრუნველყოფილი იქნება კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;**

დაწესებულება ავტორიზებული არ ყოფილა და სტუდენტის სტატუსი ჯერ არავისთვის მიუნიჭებიათ. დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რაც ასევე აღწერილია ადმინისტრაციის წევრების სამუშაო აღწერილობებში და კოლეჯის შინაგანაწესში, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები (აღწერილია ადმინისტრაციის წევრების სამუშაო აღწერილობებში და კოლეჯის შინაგანაწესში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გააცნობენ პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა წესებს, უპასუხებენ მათ შეკითხვებს, მიაწვდიან სასწავლო პროცესთან, სტუდენტის/მსმენელის უფლება–მოვალეობებთან, შეფასების სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასურველ/საჭირო ინფორმაციას. სტუდენტთა უფლებები გაწერილი იქნება ასევე მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით, რომლის გაცნობის ვალდებულებაც აქვს სტუდენტს, განსაზღვრულია ასევე სტუდენტის უფლებამოსილება: მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება; ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.

**ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და ასევე პროფესიული მასწავლებლების სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია მათი მოვალეობები, რომელთა შორის არის - სწავლების დასაწყისში პროფესიული სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სწავლის შედეგების, შეფასების პირობების და კრიტერიუმების გაცნობის ვალდებულება. შეფასების სისტემის თავისებურებები, გასაჩივრების ვადები, აპელაციის ფორმები, განხილვის ვადები გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში.

**ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი წესი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.**

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრ ულების დადების სპეციფიკა.**

ამ ეტაპზე დაწესებულებას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 6-ით - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება და უფლებები - განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულებების დადების ვალდებულება, რომლის თანახმად კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერენ დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში). ხელშეკრულება ძალაში შედის პროფესიულ სტუდენტის სტატუსის მინიჭების თაობაზე დირექტორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

მიერ ბრძანების გამოცემის მომენტიდან; ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ აპლიკანტი, ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე გაეცნობა დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებს, ხელშეკრულების შინაარსს და ამის შემდგომ ხდება ხელის მოწერა ხელშეკრულებაზე.

სასწავლო პროცესის მართვის წესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის ოფიციალურ ვებ გვერდზე, საჭირო ინფორმაცია განთავსებულია პროგრამების კატალოგშიც.

**წარმოდგენილი რეგულაციით დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.**

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (მუხლი 17.2) გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შეიძლება განხორციელდეს, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მათი მობილობის, სტატუსის აღდგენის, ავადმყოფობის, სსსმ და შშმ პირების საჭიროების შემთხვევებში და მის შედგენაში საჭიროებიდან გამომდინარე ჩართულები იქნებიან. როგორც პროფესიული სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებელი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. იმ შემთხვევისთვის, როდესაც სტუდენტები ვერ აღწევენ სასურველ შედეგს, პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების დირექტორს, რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, რომლითაც განსაზღვრავს იმ სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული აქტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტებთან, რაც დასტურდება ხელმოწერით.

ამავე დოკუმენტით (მუხლი 18) განსაზღვრულია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირების საკითხები, რაც გულისხმობს კოლეჯში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას. დოკუმენტით განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფის აუცილებლობა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება მისი სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. სსსმ სტუდენტისთვის შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს და განახორციელებს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილება) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოყენებული იქნება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის (რომელსაც მოიწვევს კოლეჯი საჭიროებისამებრ) მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება კოლეჯის დირექტორს (დამოწმდება ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით). ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს, შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები, პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა, განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული, შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

**ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი რეგულაციები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავებას პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მენეჯერთან ჩატარებული ონლაინ გასაუბრების შედეგები;
- დაწესებულების დირექტორთან ჩატარებული ონლაინ გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის შესაბამისად, რაც ასევე დადასტურდა კოლეჯის დირექტორითან ონლაინ გასაუბრებით, შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია მუდმივად ჩაატარებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებს. ამ მიმართულებით ჩატარდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო კონსულტაციები პროფესიული სტუდენტებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად გაეცნობა შეფასების შედეგებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან ან/და მოდულის განმახორციელებელ პირთან ერთად. დაწესებულებაში განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი და პროფესიული სტუდენტები, პერსონალური მონაცემების დაცვით, მუდმივად მიიღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით.

**ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია, რაც ასევე დაგვიდასტურა დაწესებულების დირექტორმა, რომ შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლების საწყის ეტაპზე ან/და ყველა ეტაპზე, როცა სასწავლო გარემო იცვლება. სასწავლო პროცესის მართვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

მენეჯერის სამუშაო აღწერილობებში გაწერილია, რომ მისი ვალდებულებაა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ან შესთავაზოს შესაბამისი სერვისები/მხარდაჭერა საჭიროების მიხედვით კომპეტენციის ფარგლებში. ამ პროცესში ასევე ჩართული იქნებიან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებიც და პროგრამის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციისა და ვალდებულების ფარგლებში. დაგეგმილია გაცნობითი სახის შეხვედრების ჩატარება მიღებულ პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადთან, შედგება პრეზენტაციები დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, შინაგანაწესის მოთხოვნების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ. **მაგალითად: სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი გააცნობს მათ ძირითად მარეგულირებელ წესებს, ბიბლიოთეკარი გააცნობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, და სხვა. პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ. ყოველივე ზემოთქმულის ვალდებულება შესაბამის პირებს მათი სამუშაო აღწერილობებით აქვთ განსაზღვრული.**

**3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გონივრულ ვადებში, ეს იქნება ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტით (მუხლი 9) განსაზღვრულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. ეს მხარდაჭერა ასახულია ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებშიც. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს “პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგიაც“, რომელშიც გაწერილია ზემოხსენებული აქტივობების ინიცირების და განხორციელების რეგულაციები, პასუხისმგებელი პირების მითითებით.

პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სპორტული აქტივობისათვის შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიას დამონტაჟებული აქვს კალათბურთის ფარი, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ითამაშონ კალათბურთი. ასევე დაწესებულება გეგმავს სტუდენტების ხალხური სიმღერების შემსწავლელი გუნდის დაარსებას, დაინტერესებულ პირებს სკოლის დამფუძნებელი შეასწავლის სიმღერას.

**5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**

შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიაში დაგეგმილია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საჭიროებების კვლევა. შემუშავებულია კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობით ხარისხის მართვის მენეჯერი დაამუშავებს კვლევის მონაცემებს და შედეგების შესაბამისად მოხდება შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა. დაწესებულებამ შესაძლოა განახორციელოს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში, განხორციელების მიდგომებში ან სტუდენტურ სერვისებში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის სტრატეგია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

### 3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტით (მუხლი 10 კარიერული მხარდაჭერის მომსახურება) განსაზღვრულია ყველა ის აქტივობა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ხელმისაწვდომობას. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობაში სხვა საკითხებთან ერთა განსაზღვრულია მისი მოვალეობა საინფორმაციო შეხვედრების/პრეზენტაციების მოწყობასთან დაკავშირებით, როგორც საჯარო სკოლებში, პოტენციურ სტუდენტებთან, ასევე მოქმედ სტუდენტებთან საიმიჯო/პროფორიენტაციის ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით. მასთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან ონლაინ გასაუბრების დრის კარგად გამოიკვეთა მათი მზაობა უზრუნველყონ კარიერული მხარდაჭერა პროფესიული სტუდენტებისათვის, მუდმივად მიაწოდონ ინფორმაცია ტრენინგების, მომზადების/გადამზადების კურსების, ასევე სხვა ღონისძიებების შესახებ (მაგალითად გამოფენები, პრეზენტაციები, ვიდეო რგოლების

PDF Eraser Free

გავრცელება და სხვა), მიეხმარონ კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში და ა.შ.

**2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - საზოგადოებასთან ურთიერთობი წესი - დგინდება, რომ შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია და კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მუდმივად მიაწვდის როგორც პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებს (შეხვედრები სკოლებში) ასევე მოქმედ პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებული ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ვებ-გვერდის, სოციალური ქსელის საშუალებით. კოლეჯში განხორციელდება ასევე დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზების შექმნა და საკომუნიკაციო სისტემის მართვა (შესაძლოა ეს იყოს სივრცე კოლეჯის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელის საშუალებით, ან დამოუკიდებელ პლატფორმაზე), რომლის მართვაზე პასუხისმგებელი პირები იმოქმედებენ კოორდინირებულად. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მონაცემების განახლება ყოველი სასწავლო წლის დასასრულს. ბაზას განაახლებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. დამსაქმებელთა მიერ კონკრეტული ინტერესის შემთხვევაში კოლეჯი კურსდამთავრებულს მიაწვდის ინფორმაცია არსებული ვაკანსიის შესახებ და მისი თანხმობის შემდეგ დააკავშირებს დამსაქმებელთან.

PDF Eraser Free

ყოველივე ზემოთქმული და დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმები უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერაის ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

საზოგადოებასთან ურთიერთობი წესის თანახმად შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიაში, კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით, კვლევები ჩატარდება ყოველი კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვეში. კვლევის მიზანია დადგინდეს დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, დასაქმდა თუ არა თავისი სპეციალობით, კმაყოფილია თუ არა დაწესებულებაში მიღებული უნარებით; იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ. და შეეცდება მუდმივად ხელი შეუწყოს დასაქმებასა და განვითარებაში. კოლეჯი ასევე განახორციელებს დამსაქმებლის კვლევას. კითხვარში ძირითადი აქცენტი გაკეთდება იმ დამატებით უნარ-ჩვევებზე (საჭიროების შემთხვევაში), რომელსაც ითხოვს დამსაქმებელი ორგანიზაცია, რათა კოლეჯმა უზრუნველყოს მათი ინტეგრირება სწავლების პროცესში.

კვლევის ჩატარება სამუშაო აღწერილობის თანახმად ევალება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელმაც ონლაინ გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ შესაძლებელია კვლევისთვის კოლეჯმა მოიზიდოს გამოცდილი კვლევითი ორგანიზციები ან შესაბამისი სპეციალისტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის და ასევე შესაბამის პირებთან ონლაინ გასაუბრების თანახმად დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე კოლეჯი გეგმავს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი, რაც შეიძლება გამოიხატოს : პროგრამაში რომელიმე არჩევითი მოდულის დამატებით; მომზადება/გადამზადების პროგრამის შეთავაზებით; პროგრამის განმახორციელბლების გადამზადებით სწავლების ან/და შეფასების მიმართულებით და სხვა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის სტრატეგია;
- ხარისხის უხრუნველყოფის მექანიზმები(პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია);
- გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 18 იანვრიე N2 ბრძანებით დამტიცებულია დაწესებულების სტრუქტურა, საშტატო განრიგი, ასევე სამუშაო აღწერილობები, რომლებშიც მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულ პირთა ფუნქციები. სტრუქტურის მიხედვით დაწესებულებას ჰყავს: დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ბუღალტერი, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროცესის მართვის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფერმის მენეჯერი, ყველის ქარხნის მენეჯერი, ექთანი, IT სპეციალისტი, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, კამპუსის მენეჯერი, დაცვა, დამლაგებელი, პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული მასწავლებლები.

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

სამუშაო აღწერილობების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ თანამდებობრივი ერთეულების ფუნქცია მოვალეობები ისეა განაწილებული, რომ სრულად დაიფაროს ყველა ის აქტივობა და საქმიანობა, რაც დაწესებულების რეგულაციებშია გაწერილი და რაც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის აუცილებელ პირობას. ყველა თანამშრომელი თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში ემსახურება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმაში გაცხადებული მიზნების და ამოცანების შესრულებას

3. **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 4 მარტი № 5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", დებულებაში გაწერილია ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები. ასევე დამტკიცებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" სტრუქტურა;
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" წესდება;
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

**4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას**

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის მიერ დამტკიცებულია „პერსონალის მართვის წესი", რაც არეგულირებს პერსონალის შერჩევა-დანიშვნას, სოციალიზაციის, განვითარების ხელშეწყობას. შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

18 იანვარი № 2 ბრძანებით. შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, კოლეჯის წესდების, დებულების საფუძველზე, რომლის თანახმად დაწესებულებაში შრომითი ურთიერთობები ეფუძნება დამსაქმებლისა და დასაქმებულის თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის პრინციპებს. ამავე დოკუმენტით დადგენილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება, რაც ასახულია ასევე ხელშეკრულებებში. შინაგანაწესი განთავსებული კოლეჯის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

**ექსპერტთა მოსაზრებით პერსონალის მართვის პროცესები, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ დირექტორის 2021 წლის 15 მარტი № 7 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის წესი, რომელიც წარმოადგენს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს, რათა დასაქმებულმა პირებმა თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ - ჩვევები. დოკუმენტის მუხლი 6-ით განსაზღვრულია ასევე პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი, რაც გულისხმობს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურების ჩატარებას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. პერსონალის შერჩევის პროცედურა არის გამჭირვალე. პერსონალის დანიშვნა ხდება კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ

PDF Eraser Free

გაწერილი რეგულაციის შესაბამისად. დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლის/ადმინისტრაციული/დამხმარე თანამდებობის დაკავება შესაძლებელია როგორც კონკურსის გარეშე, ასევე კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. კონკურსი შესაძლებელია ჩატარდეს ღია ან დახურული წესით. თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების საჭიროებას, კონკურსის პრინციპებს, ძირითადი მოთხოვნებს, ეტაპებს, ვადებს და სხვა თანმდევ საკითხებს, საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, თავმჯდომარეს, კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ბრძნებით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის/საჭიროებისთვის. დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები რაც ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი კადრების აყვანის დროს. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა არსებული კადრების პირადი საქმეები და დადგინდა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გაფორმებულია შრომითი, ხოლო პოტენციურ პროფესიულ მასწავლებთან წინარე ხელშეკრულებები, რომლებსაც დანართის სახით ახლავს მათი შრომითი აღწერილობა. წარმოდგენილ პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის (მუხლი 16. კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/პროგრამის განმახორციელებელი პირის პირადი საქმის წარმოების წესი) მოთხოვნებთან. კერძოდ: ა) პირადობის/პასპორტის ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - ნოტარიულად თარგმნილი და დადასტურებული ასლი. ბ) არსებობის /საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი, უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - ნოტარიულად თარგმნილი და დადასტურებული ასლი. გ) კოლეჯთან გაფორმებული შრომითი/მომსახურების/წინარე ხელშეკრულების დედანი/ასლი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

(გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად); დ) წახალისების, აგრეთვე დისციპლინარული ხასიათის ღონისძიებათა გატარების შემთხვევაში - შესაბამისი დოკუმენტაცია(ასეთის არსებობის შემთხვევაში); ე) ავტობიოგრაფია/CV; ვ) პირადი განცხადების ასლი (არსებობის შემთხვევაში); ზ) არსებობის /საჭიროების შემთხვევაში - შრომის წიგნაკი, ან შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია.უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - ნოტარიულად თარგმნილი და დადასტურებული ასლი. თ)ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლის კავკასიის პერსონალის პირადი საქმეების, მათში წარმოდგენილი დიპლომების და სერტიფიკატების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და შესაბამისია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის შინაგანაწესის მუხლი 3-ით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის პრინციპები, რომლის თანახმად შრომითი ურთიერთობები ეფუძნება დამსაქმებლისა და დასაქმებულის თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის პრინციპებს. კოლეჯის მთავარი ღირებულებებია: თანამშ რომლობა, თვითგამოხატვის თავისუფლება, ღიაობა, გუნდურობა, პროფესიონალიზმი და მდგრადი განვითარება. კოლეჯსა და მის დასაქმებულებს შორის შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

დაწესებულების წარმომადგენლებთან, როგორც ქართულ მხარესთან, ასევე შვეიცარიულ მხარესთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. რეგულაციების შემუშავების, სტრატეგიული თუ სამოქმედო გეგმის შედგენის, თუ სხვა მნიშვნელოვან მომენტებში სამუშაო პროცესში ჩართული არიან დაწესებულების თანამშრომლები, როგორც ადმინისტრაცია, ისე პროგრამის განმახორციელებელი პირები. ყველა წესი თუ გეგმა, საკვანძო საკითხი საჯაროდაა გაზიარებული. პერსონალის ჩართულობა ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს კორპორატიული კულტურის ამაღლებას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- დანიშვნის აქტი/ შრომითი ხელშეკრულებები/ წინარე ხელშეკრულებები;
- პერსონალის მართვის წესი;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გასაუბრების შედეგები;
- შინაგანაწესი;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 4.2 პერსონალის განვითარება

#### 4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე









PDF Eraser Free

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტის -„პერსონალის მართვის წესის" (მუხლი 12. პერსონალის შეფასება; მუხლი 13. პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები, მოტივაციის ხელშეწყობა) თანახმად შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საშუალებას აძლევს დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა პირს, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები ეფექტურად განახორციელოს.

პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზანია დაწესებულების მიზნებიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მოხდეს პერსონალის საჭიროების გამოვლენა, რათა დროულად დაიგეგმოს შესაბამისი განვითარების აქტივობები. დაწესებულების სამოქმედო გეგმით (ამოცანის 1.2.4) განსაზღვრულია ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შეფასება, შედეგების განალიზება და  შედეგების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა (შვეიცარიული მიდგომების გაზიარება), რის განსახორციელებლად კოლეჯის ბიუჯეტით გამოყოფილია შესაბამისი თანხები.

**წარმოდგენილი დოკუმენტებში აღწერილი პროცედურები უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;**

წარმოდგენილი დოკუმენტის „პერსონალის მართვის  წესის“ (მუხლი 14 - პერსონალის განვითარების გეგმა) თანახმად პერსონალის პროფესიული განვითარება არის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება/გაუმჯობესებას. დოკუმენტში საუბარია გეგმის შემუშავების შემთხვევებზე, კერძოდ;  დაქირავების ციკლის დინამიკა, თანამშრომლების შიდა როტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კანონმდებლობის ცვლილებები, ან ახალი პროგრამებისა და პროექტების დანერგვა და სხვა.  პერსონალის განვითარების საჭიროებები შესაძლოა წინასწარ განისაზღვროს პოზიციის მოთხოვნებიდან გამომდინარე. პერსონალის განვითარების ტაქტიკა კოლეჯის მიმართულების დამახასიათებელი სპეციფიკური ცოდნის ასამაღლებლადაა გამიზნული და ორგანიზაციის საჭიროებების მიხედვით განისაზღვრება. დოკუმენტში საუბარია ასევე სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაზე, როგორიცაა:  ფორმალური ტრენინგი, თვითშემეცნება, პროფესიონალური და სამუშაო შეხვედრები, მენტორინგი და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დოკუმენტის შესწავლის და საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან ონლაინ გასაუბრების თანახმად, პერსონალის განვითარების დაგეგმვის პროცესი მოიცავს თანამშრომლის შესაძლებლობების, განსწავლულობის, დაუყოვნებელი საჭიროებების და პოტენციური რესურსების შეფასებას, რაც გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

• პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე.

• გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა პროგრამების შერჩევა/დაგეგმვას. პერსონალის კარიერის და განვითარების პროცესი მიზნად ისახავს შესაბამისი ცოდნის, პოტენციალისა და გამოცდილების მქონე პერსონალის პროფესიული განვითარების, შემდგომი კარიერული ზრდისა და შენარჩუნების ხელშეწყობას.

• შედეგების შეფასება – გარკვეული სახის პროგრამების განხორციელების შემდეგ, შესაძლებელია გადამზადებული თანამშრომლების გამოკითხვა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს კითხვარების გამოყენებით ან ფოკუს ჯგუფებთან ან ინდივიდუალური ინტერვიუირებით.

აღნიშნული აქტივობა ემსახურება სხვადასხვა მხარის შემოწმებას: კმაყოფილება, კომპეტენციის გაზრდა და ა.შ.. შეფასების პროცესში ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაკვირვების მეთოდი: როგორ გამოიყენებენ ადამიანები ახალ ცოდნასა და უნარებს სამუშაოს შესრულების დროს.

ყოველი ახალი საჭიროების გამოვლენისას საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი შეადგენს განვითარების გეგმას, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტულ შემთხვევაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ექსპერტთა მოსაზრებით პერსონალის განვითარება განხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

„პერსონალის მართვის წესის“ (მუხლი 13. პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები, მოტივაციის ხელშეწყობა) თანახმად განსაზღვრულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაწესებულების ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და კოლეჯის საქმიანობაში ჩართული სხვა პირების პროფესიული განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე ისინი ორგანიზებას გაუწევენ პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, ხელს შეუწყობენ პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კოლეჯთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში, გამოყოფენ ფინანსურ რესურსს ტრენინგებზე/ კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე მონაწილეობის მიზნით და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

აღნიშნულის გათვალისწინებით შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიას მივლინებული ჰყავდა 5 თვის განმავლობაში ორი პოტენციური თანამშრომელი შვეიცარიაში, აგრარულ სკოლა „პლანტაჰოფში“ შვეიცარიული სწავლებისა და პრაქტიკის მოდელის გაზიარებისათვის.

დაწესებულების დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი და პროგრამის განმახორციელებელი პირი ასევე იმყოფებოდნენ შვეიცარიაში განმავითარებელ ტრენინგებზე.

### 4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

„პერსონალის მართვის წესით“ (მუხლი 11) განსაზღვრულია ასევე ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებისა და მოქმედი პოლიტიკების, პროცედურებისა და წესების შესახებ ცნობიერების გაზრდასა და დაწესებულების საზოგადოებაში ადაპტაციას.

საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობის თანახმად, რაც მან ასევე ონლაინ გასაუბრების დროს დაგვიდასტურა, მისი მოვალეობაა ახალდანიშნულ თანამშრომელს გააცნოს დაწესებულების მიზნები, ღირებულებები და სტრატეგიული გეგმა, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნები, სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები და აქტები, დაწესებულებაში მოქმედი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

პროცედურები და წესები. ამ პროცესში უშუალოდ არის ჩართული დირექტორი, ასევე, შესაძლოა, ჩართული იყვნენ სხვა თანამშრომლები საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან.

## 5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ასევე შვეიცარიელ ექსპერტებთან ონლაინ გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მათ ჩამოაყალიბეს ერთიანი გუნდი, ჩამოაყალიბეს კომუნიკაციის ჯანსაღი მოდელი, მხარს უჭერენ თანამშრომელებისგან წამოსულ ინიციატივებს და აპირებენ მომავალშიც ასე გააგრძელონ მუშაობა. ყოველივე ზემოაღნიშნულს ამყარებს მარეგულირებელ დოკუმენტებში წარმოდგენილი, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული მექანიზმებიც.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პერსონალის მართვის წესი;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი;
- დირექტორთან ონლაინ გასაუბრების შედეგები;
- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან ონლაინ გასაუბრების შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

- შვეიცარიელ ექსპერტებთან ონლაინ გასაუბრების შედეგები;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის  მენეჯერთან ონლაინ გასაუბრების შედეგები.

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

PDF Eraser Free

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 82.06.42.141] შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასია მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. სარკინეთში და განთავსებულია 18588.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში N1 N2 და N3 მთლიანი ფართით -1503.7.კვ.მ. **დაწესებულება საკუთრებაში ფლობს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

78389.00 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთს (საჯარო რეესტრის ამონაწერი N82.06.42.008), ასევე 80000.00 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთს (საჯარო რეესტრის ამონაწერი N82.06.43.136) და 1839.00 კვ.მ.არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთს (საჯარო რეესტრის ამონაწერი N82.06.42.140).

PDF Eraser Free

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიისათვის განკუთვნილი ახალაშენებული შენობა ფართით 1503,7კვ.მ. დაყოფილია სამ ბლოკად და მოიცავს საერთო საცხოვრებელს (A ბლოკი), ადმინისტრაციულ-საგანმანათლებლო გარემოს (B ბლოკი), სასტუმროს (C ბლოკი) და კაფეტერიას.

**ადმინისტრაციულ-საგანმანათლებლო გარემო** (B ბლოკი) შედგება ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი სივრცისგან, ორი AC გარემოსგან (გარემოში განთავსდება შესაბამისი ინვენტარი, პროექტორები და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი), ერთი B გარემო, სადაც განთავსდება 9 კომპიუტერი (1 - პროგრამის განმახორციელებელი პირისათვის, დანარჩენი - პროფესიული სტუდენტებისათვის). ეს ბლოკი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის, შშმ პირთათვის შენობის , როგორც გარე ასევე შიდა სივრცეში დამონტაჟებულია ლიფტი. უზრუნველყოფილია განათება, გათბობა, ვენტილაცია, სანიტარული კვანძები.

არსებული რესურსის (კომპიუტერები, პროექტორები, კომბაინი) არსებობა დასტურდება შესყიდვის დოკუმენტაციით, თუმცა აუდიტორიებში რესურსი განთავსებული არ იყო. დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სრული აღჭურვა დასრულდება 10 სექტემბრამდე, რომლისთვისაც გამოყოფილია 100000 ლარი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

**საერთო საცხოვრებელი** (A ბლოკი) შედგება 28 სტუდენტზე გათვლილი 14 (ორსაწოლიანი) ოთახისაგან, რომლებიც განთავსებულია სამ სართულზე, აქვს სველი წერტილები, სამრეცხაო, მოსასვენებელი ტერასები. ოთახები უზრუნველყოფილია განათებით,გათბობითა და ვენტილაციით; დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.

PDF Eraser Free

**სასტუმრო** (C ბლოკი) რომელიც შედგება 6 იზოლირებული ნომრისგან.

**კაფეტერია** მოიცავს სამზარეულოს, კაფეტერიას, საწყობს.

დაწესებულებამ წარმოადგინა შენობების აზომვითი ნახაზები და სპეციალური ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ, რომელშიც ფართი დანომრილია აზომვითი ნახაზის და აუდიტორიების მითითებით. შესაბამისად სპეციალური ფორმის, ონლაინ დათვალიერების და ასევე წარმოდგენილი ფოტოებით დასტურდება შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, ინფორმატიკის კაბინეტი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის. მიმდინარეობს დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი AC გარემოს (ფერმა) მოწყობის სამუშაოები.

**დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესასრულებელი აქტივობები და შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. გეგმის თანახმად აღნიშნული სამუშაოები დასრულდება მაქსიმუმ 6 თვეში. ექსპერტები გავეცანით აღნიშნულ გეგმაში წარმოდგენილ ობიექტებთან**

PDF Eraser Free

გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ასევე შესყიდვის დოკუმენტაციას, წარმოდგენილ მასალას, რითაც დადასტურდა, რომ დაწესებულება უკვე ფლობს კომპიუტერულ ტექნიკას, პრინტერებს და პროექტორებს, ხოლო სხვა მატერიალური რესურსი (მაგიდები, სკამები, საოფისე ავეჯი) 31 მაისს მიეწოდება.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი N7-ით განსაზღვრულია სტუდენტთა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფის წესები. წესების თანახმად პროფესიული სტუდენტების განკარგულებაში იქნება: უსაფრთხო და დაცული საგანმანათლებლო სივრცეები; ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელების/რეკრეაციული ადგილები; სივრცეები სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის; 24-საათიან განათება; ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფილი შენობა; ნათელი, საგანმანათლებლო პროგრამების სასჭიროების შესაბამისად აღჭურვილ აუდიტორიები; ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა; ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ადაპტირებულ გარემოს შშმ პირთათვის; პირველადი სამედიცინო დახმარება; მოწესრიგებულ სველ წერტილები, წყლის უწყვეტი მიწოდებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ დირექტორის 2021 წლის 4 მარტი №5 ბრძანებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების მართვის წესი, რომლის შესაბამისად განკარგავს მატერიალურ რესურსს და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერის მეშვეობით უზრუნველყოფს წესის აღსრულებას.

**3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

დაწესებულების საშტატო განრიგით განსაზღვრულ დამლაგებლებს, მათი სამუშაო აღწერილობის თანახმად ევალებათ სრულად უზრუნველყონ კოლეჯის ტერიტორიაზე სისუფთავისა და სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვა კოლეჯში დადგენილი „სანიტარულ ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის წესის“ თანახმად. კამპუსის მენეჯერის მოვალეობაში სხვა ვალდებულებებთან ერთად შედის კამპუსის დასუფთავებისა და სათანადო კვების უზრუნველყოფის მუდმივი მონიტორინგი.
დაწესებულების ყველა ბლოკში არსებული სველი წერტილები, საშხაპეები, უზრუნველყოფილია უწყვეტი ცივი და ცხელი წყლით, ვენტილაციით და ყველა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად განკუთვნილი ინვენტარით, რომელზე კონტროლიც მატერიალური რესურების მართვის მენეჯერის მოვალეობებში შედის. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ შემუშავებული „სანიტარულ ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის წესის“ თანახმად და არსებული პირობების ონლაინ დათვალიერების შედეგებით დგინდება, რომ დაწესებულებაში დაცული იქნება სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

**4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.**

ონლაინ დათვალიერების, გადახდის ქვითრების გაცნობის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. გამათბობელი ქვაბები დამონტაჟებულია დამოუკიდებელ ტექნიკურ ოთახში, დაცულია შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.

**5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის მიერ შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, შეფასებულია რისკები, შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების წესები, შექმნილია საგანგებო სიტუაციების შტაბი, არსებულ თანამშრომლებს ჩატარებული აქვთ შესაბამისი ინსტრუქტაჟები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 14 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოების დებულების თანახმად, დაწესებულება ზრუნავს თითოეული თანამშრომლისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით საჭირო ცოდნის მიწოდებაზე და კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კულტურის დანერგვაზე მათთვის სამუშაო გარემოს და შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი სწავლებების ჩატარების და ინფორმაციის მიმოცვლის კარგი სისტემის დანერგვის გზით; დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის კომპანიის ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი და ვიზიტორი ვალდებულია ზედმიწევნით შეასრულოს კომპანიის ტერიტორიაზე მოქმედი შრომის უსაფრთხოების დადგენილი ნორმები და სამუშაოს შესრულებისას ან ტერიტორიაზე გადაადგილების დროს.

შენობაში განთვსებულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც კომპეტენტური ორგანოს მიერ არის შემუშავებული. შენობაში განთვსებულია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა,

### 6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებაში მოქმედებს „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ყველა ის პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შეუფერხებელ მიწოდებას, შეძენას, შენახვას, განკარგვას, სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცას. მათ შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი მიწოდებას.**

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

შპს “შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის” დირექტორის 2021 წლის 4 მარტის, № 5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. დოკუმენტის გაცნობის შედეგად, ასევე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს დასახული მიზნების მისაღწევად, განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით, უზრუნველყოს კვლევების ჩატარება, რაც დაეხმარება მათ როგორც კოლეჯის შიდა გამოწვევების იდენტიფიცირებაში, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენაში. გამოკითხვისათვის გამოყენებული იქნება კითხვარების ფორმები, რომლებიც შემუშავდება ყოველი კონკრეტული კვლევის საჭიროებების/ინტერესის შესაბამისად და ყოველი კონკრეტული ჯგუფისათვის: პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთათვის, პროფესიული მასწავლებლებისათვის, კურსდამთავრებულთა და პარტნიორი ორგანიზაციებისათვის, ადმინისტრაციული პერსონალისათვის. ხარისხის მექანიზმებით განსაზღვრულია გამოკითხვის ჩატარების ეტაპებიც:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

1. გამოკითხვის მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბება;

2. სამიზნე ჯგუფის (პოპულაციის) განსაზღვრა;

3. განსაზღვრა იმისა, თუ რა სახის ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვებაა საჭირო;

4. გამოკითხვის ინსტრუმენტის შემუშავება;

5. შერჩევის ჩარჩოს, შენარჩევის ზომის და შერჩევის მეთოდის განსაზღვრა;

6. რესპონდენტ(ებ)ის შერჩევა;

7. მონაცემების შეგროვება;

8. შეგროვილი მონაცემების ანალიზი;

9. შედეგების გამოყენება/გაზიარება.

როგორც დოკუმენტის შესწავლის შედეგად დგინდება, კვლევისთვის კითხვარების შევსების გარდა შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვა მეთოდები: ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა, პირისპირ ინტერვიუ, ფორუმი, პროცესზე დაკვირვება. ხარისხის მართვის მენეჯერის გარდა კვლევა შეიძლება განახორციელოს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერმა, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა, IT სპეციალისტმა, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. ეს შეიძლება იყოს პერსონალის კმაყოფილების და საჭიროების კვლევა, საზოგადოებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მონიტორინგის შედეგები, პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროების კვლევა და სხვა .დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ ნებისმიერი სახის გამოკითხვა/შეფასება/კვლევა უნდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობა; ბ) სანდოობა; გ) მოქნილობა; დ) შინაარსობრივი სიმარტივე; ე) მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს ასევე დაწესებულების სასწავლო რესურსის, მატერიალური რესურსის, ინფრასტრუქტურის, საბიბლიოთეკო რესურსის, IT ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. ამ ნაწილში ხარისხის მართვის მონიტორინგს ახორციელებს მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, IT სპეციალისტი. აღნიშნული რესურსების შემოწმება განხორციელდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე მონიტორინგი განხორციელდება დაფიქსირებული/აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაშიც. .ყველა კვლევის შედეგი აკუმულირდება ხარისხის მართვის მენეჯერთან და ერთობლივად თანამომაწილეობითი პრინციპით შედგება კონკრეტული საჭიროებისათვის განვითარების/სამოქმედო გეგმა დაწესებულების მიერ განსაზღვრულია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსის/ინვენტარის აღწერის პერიოდულობა, მდგომარეობის/ხარისხის შეფასების გზები, შეფასებაზე, მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირები.

**ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

ონლაინ დათვალიერების და ასევე წარმოდგენილი ფოტომასალის გაცნობის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ყოველივე ზემოთქმული დასტურდება ასევე კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრებით.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიისათვის განკუთვნილი ახალაშენებული თანამედროვე კონსტრუქიის შენობის სამივე ბლოკის ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება მუშაობა, ასევე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

**10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

ონლაინ დათვალიერების, აზომვითი ნახაზების და ასევე წარმოდგენილი ფოტომასალის გაცნობის შედეგად, დადგინდა, რომ ყველა სივრცეს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი ხოლო სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას

**11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დაწესებულების მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. შპს 'შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 4 მარტი № 5 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესები, მომხმარებელის უფლებამოვალეობები, წიგნების გატანის წესი, კომპიუტერით სარგებლობის წესები და სხვ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

კოლეჯში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია მომხმარებელთათვის დაწესებულების როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებულ საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად აღრიცხულია საბიბლიოთეკო ფონდი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შექმნილია ელექტრონული კატალოგი და არსებული ფონდი სისტემატიზირებულია. სამუშაო დროს სტუდენტებსა და მასწავლებლებს დაუბრკოლებლად მიუწვდებათ ხელი ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებსა და ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსზე. რამდენადაც ოლაინ ჩართვის პერიოდში კოლეჯი ჯერ კიდევ არ იყო აღჭურვილი მატერიალური რესურსით, დირექტორის განმარტებით ბიბლიოთეკაში განთვსდება 2 კომპიუტერი და 1 პრინტერი.

**ექსპერტთა შეფასებით მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საკადასტრო კოდი 82.06.43.136
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საკადასტრო კოდი 82.06.42.008
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საკადასტრო კოდი 82.06.42.141
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საკადასტრო კოდი 82.06.42.140(2000კვ.მ)
- შენობის აზომვითი ნახაზები;
- სანიტარული ნორმების დაცვის წესი;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის კატალოგი(ელექტრონულიც);
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;
- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია;
- ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი.ნარჩენების მართვის რეგულაცია;
- შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება შემდეგი დაწესებულების სივრცეების/ფართების ფლობა;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- გასაუბრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება**

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გათვალისწინებულია - პუნქტი 1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. რომლის შესრულებაზე ვალდებულება დაწესებულებასთან ერთად, აღებული აქვს გენერალურ კონტრაქტორ კომპანიას (სამშენებლო) - შპს ინტ-ტეკს. გეგმის თანახმად აღნიშნული სამუშაოები დასრულდება მაქსიმუმ 5 თვეში.

დაწესებულებაში იგეგმება ასევე შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მიზნით შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. დაწესებულებამ წარმოადგინა მიმოწერა შესაბამის ორგანოსთან, რითაც დასტურდება, რომ 112 -ის მიერ უახლოეს პერიოდში ჩატარდება შესაბამისი სამუშაოები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 14 ბრძანებით დამტკიცებულია წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის. დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების სივრცე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება, როგორც საკარანტინო სივრცე. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ვალდებულება, სამუშაო აღწერილობის თანახმად, მინიჭებული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს. შენობის ყველა კრიტიკულ ადგილას განთავსდება (ნაწილში უკვე განთავსებულია) პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი შესაბამისი მასალით და ინვენტარით. გამოიკვრება ინსტრუქტაჟი და პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირისა და 112 ტელეფონის ნომრები.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

PDF Eraser Free

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 1 აპრილის № 14 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების საგანგებო მართვის  გეგმა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის დადგენილების, “სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ დამტკიცების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტში გაწერილია ქცევის წესები საგანგებო სიტუაციების დროს. წესის თანახმად განსაზღვრულია, რომ კოლეჯის ყველა დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესებს და მის გაცნობას აფიქსირებდეს ხელმოწერით. საგანგებო კომისიის შემადგენლობაში შედიან: საგანგებო ჯგუფის უფროსი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროსი, სამედიცინო, ქიმიურ და რადიაციული რეაგირების ჯგუფის უფროსი, კავშირგაბმულობის და შეტყობინების ჯგუფის უფროსი, საევაკუაციო ჯგუფის უფროსი, სახანძრო სამაშველო ჯგუფის უფროსი. კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ხორციელდება კოლეჯის საზოგადოებისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ მიერ შემუშავებულია წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლის აღსრულებაც ევალება დაცვის თანამშრომელს. წესრიგის დაცვის მექანიზმებზე საუბარია ასევე დაწესებულების შინაგანაწესში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია, რომ შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და **გარე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**პერიმეტრზე დამონტაჟდება ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. გეგემაში გაწერილია შესასრულებელი აქტივობები და შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. გეგმის თანახმად აღნიშნული სამუშაოები დასრულდება მაქსიმუმ 5 თვეში.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ;
- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## 5.2 საინფორმაციო რესურსები

### 5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

რამდენადაც ონლაინ ჩართვის პერიოდში დაწესებულების აუდიტორიებში ჯერ კიდევ არ იყო განთავსებული მატერიალური რესურსი, შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა კომპიუტერების, პროექტორების, კომბაინების ფოტოები და მათი შესყიდვის დოკუმენტაცია (საერთო ჯამში დაწესებულებას აქვს 13 კომპიუტერი), რაც შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რამდენადაც დაწესებულება გეგმავს ერთ მიღებაზე სულ 16 პროფესიული სტუდენტის მიღებას 2 პროგრამის ფარგლებში (ჯგუფში მაქსიმუმ 8 სტუდენტი). შესაბამისად B



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გარემოში განთავსდება 8+1 კომპიუტერი, 2 ბიბლიოთეკაში, 1 დირექტორის და 1 ადმინისტრაციის ოთახში. სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ დაწესებულება გეგმავს კოლეჯის კომპიუტერებით უზრუნველყოფას, რაც დირექტორმაც დაადასტურა ონლაინ გასაუბრების დროს. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულების პროცესების სრულყოფილად წარმართვის მიზნით, უზრუნველყოს დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის დროული შესყიდვა.

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**შპს უნივერსალში გატანილია:**

**მოდული:** სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა
**სწავლის შედეგები:** სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მდგომარეობაზე ზრუნვა
სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაცვა-ტრანსპორტირება

**მოდული:** სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა
**სწავლის შედეგები:** სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სადგომის მოწესრიგება - დატვირთვა

**მოდული:** სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება
**სწავლის შედეგები:** საზრდო ნივთიერებებზე მოთხოვნის დადგენა

**მოდული:** სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შეწყვილება - გამრავლება
**სწავლის შედეგები:** გამრავლებისათვის ცხოველის მზაობის შეფასება
სანაშენე ცხოველის შერჩევა შეწყვილებისთვის
ხელოვნური განაყოფიერების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება
მოზარდის მოგების პროცესში მონაწილეობა

**მოდული:** სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამოცნობა სწავლის შედეგები: .სასოფლო -სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის და ნაყოფიერების პრობლემების იდენტიფიცირება-რეაგირება
სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია

თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის განსაზღვრულია ორი AC და ერთი B გარემო. ონლაინ ჩართვის პერიოდში აუდიტორიები აღჭურვილი არ იყო, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა კომპიუტერების ფოტოები და შესყიდვის დოკუმენტაცია (ასევე ჩუქების აქტი),



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

რითაც დასტურდება 13 კომპიუტერის, 2 პროექტორის და 3 პრინტერის ფლობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე ხელშეკრულება (მომსახურების ხელშეკრულება 04.05.21-1) რომლის თანახმად 2021 წლის 31 მაისამდე შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთის შენობის (სკოლის) ოთახების ავეჯით მოწყობას, მათ შორის „რისეფშენის“ მაგიდით, საკლასო ოთახების მერხებით, ბიბლიოთეკის მაგიდებით და ა.შ. ავეჯის სახეობა, რაოდენობა, დანიშნულება და სხვა სპეციფიკაციები მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ღირებულება 70000 ლარი)

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. სამუშაოები დასრულდება არაუმეტეს 5 თვეში.

**ექსპერტთ შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

“ფერმერის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულებები 17 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

მდგრადობას. სასწავლო გეგმების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს.

**ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა, რომელიც სასწავლო გეგმაში და ხელშეკრულებებშია გაწერილი, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

„ფერმერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები და განხორციელდა მათთან ონლაინ გასაუბრება. შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა განათლება, სამუშაო გამოცდილება და კომპეტენცია შესაბამისია პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა განსაკუთრებით მაღალი კომპეტენცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ მთავარი პარტნიორი ორგანიზაცია, შვეიცარიაში ყველაზე წარმატებული აგრარული სკოლა - პლანტაჰოფი, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში უცხოელი პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობას და პროფესიული მასწავლებლების გადამზადებასაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება გეგმავს პროფესიული მასწავლებლების თავისი ხარჯით გადამზადებას და მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარებას, მოდულური პროფესიული პროგრამების სწავლების და სასწავლო პროცესის შეფასების მიმართულებით.

**ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ „ფერმერის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობზს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

პირადი საქმის გაცნობის და მასთან ონლაინ გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ დაწესებულებას, ფერმერის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი, მაღალი კომპეტენციის მქონე პირი. იგი კორდინაციას გაუწევს საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებელების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას მიაწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით, თუმცა მოდულური მიდგომით სწავლების გამოცდილება მიმდინარე ეტაპზე არ გააჩნია. მას გავლილი აქვს ტრენინგები ამ მიმართულებით, თუმცა გამოხატა მზაობა კვლავაც დაესწროს ტრენინგებს და აიმაღლოს კომპეტენცია ამ მიმართულებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ექსპერტთა დასკვნით პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ექსპერტთა მიერ დისტანციურად, ონლაინ დათვალიერებით, გადამოწმდა ფერმერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ლიტერატურა და დადგინდა, რომ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, ხელმისაწვდომია ელექტრონული ან მატერიალური სახით და შესაძლებელია მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია ყველა სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის მათ მარტივად ხელმისაწვდომობას.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულების მიერ შემუშავებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი მუხლი 18. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება) თანახმად შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასია განახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ამავე დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის (რომელსაც მოიწვევს კოლეჯი საჭიროებისამებრ) მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება კოლეჯის დირექტორს (დამოწმდება ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით). ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები;

**ექსპერტთა მოსაზრებით, ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

### 7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიამ წარმოადგინა „ფერმერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს 16 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს სწავლის საფასური, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა დონაციები, გრანტები და დამფუძნებლების შენატანები. პროგრამის ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების /ნედლეულის, კომუნალურის და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან ჩანს, რომ გრანტები და დამფუძნებლების შენატანები ბევრად აღემატება თვითდაფინანსებით/სწავლის გადასახდით შემოსული თანხას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფერმერი",
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ონლაინ დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

### 2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 4 მარტი № 5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ციკლის პრინციპებს და წარმოადგინა ასევე დირექტორის 2021 წლის 17 მარტი № 10 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. დასახული მიზნების მისაღწევად კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეული თანამშრომლობს ერთმანეთთან და გეგმავს ითანამშრომლოს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

დაწესებულების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და სხვა.

დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის მართვის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე სასწავლო პროცესის შეფასება, რომლის მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის /პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობას

წარმოდგენილი დოკუმენტით და ხარისხის მართვის მენეჯერთან ონლაინ გასაუბრებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით დაგეგმილია გამოკითხვების ჩატარება რისთვისაც გამოყენებული იქნება ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები, გამოკითხვა, პირისპირ ინტერვიუ, კითხვარების ფორმები, პროცესზე დაკვირვება. მისივე განმარტებით ნებისმიერი სახის გამოკითხვა/შეფასება/კვლევა დაექვემდებარება პრინციპებს, რომელიც გულისხმობს: ვალიდურობას, სანდოობას, მოქნილობას, შინაარსობრივი სიმარტივეს, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის მიერ შემუშავებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულების მიერ შემუშავებული და შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 4 მარტის № 5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის" მუხლი №4 თვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესებს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობის გაცნობის და მასთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ მის ვალდებულებაში შედის განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზის ან სხვის მიერ შესრულებული კვლევის შედეგების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მის მიერ გაცემული რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის პირს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები

PDF Eraser Free

რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ისევ მას, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ასევე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ დაგეგმილი პერიოდულობით განხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარედგინება დაწესებულების დირექტორს, საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის შედეგების გაცნობა განხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული მექანიზმებით შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ხარისხის შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში წესების დაცვით ცვლილებების შეტანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო დაწესებულებას სასწავლო პროცესის განხორციელების გამოცდილება არ აქვს, თუმცა წარმოდგენილი შიდა რეგულაციები, ხარისხის სამსახურთან გასაუბრების შედეგები იძლევა იმის საშუალებას რომ დაწესებულებამ გააანალიზოს ხარისხის შეფასების შედეგები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სასწავლო პოროგრამის/ მოდულების ცვლილება განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 4 მარტის № 5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
- შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 4 მარტი № 5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები;
- შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

### 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

#### 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფერმერი“ ითვალისწინებს ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს, კერძოდ: 7 ზოგადი მოდული - 18 კრედიტის მოცულობით, 26 სავალდებულო პროფესიული მოდული - 72 კრედიტის მოცულობით.

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 18 სასწავლო თვე, 90 კრედიტის მოცულობით, ხოლო არაქართულენოვანი

PDF Eraser Free

სტუდენტებისთვის 23 სასწავლო თვე, 120 კრედიტის მოცულობით. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა.

**ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია ამჟამად არ ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დაწესებულებაში ამოქმედდება საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში მომუშავე პირები, არსებულ სტუდენტებს გაუწევენ კონსულტირებას და დაეხმარებიან მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

„ფერმერის“ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, რისი განხორციელებაც უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების როგორც ადამიანური ასევე მატერიალური რესურსით. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ონლაინ გასაუბრების შედეგების მიხედვით პროგრამის განმახორციელებლებს, მათი შემდგომი განვითარების მიზნით, ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრეინინგები, როგორც ორგანიზაციის საკუთარი ძალებით, ასევე ისინი ხელს შეუწყობენ პროგრამის განმახორციელებლებს, მონაწილეობა მიიღონ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას (პანდუსები, ლიფტები, ადაპტირებული სველი წერტილები). შემუშავებული იქნება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა სწავლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ. გეგმა წარედგინება კოლეჯის დირექტორს (დამოწმდება ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით). გეგმის შესაბამისად განხორციელდება პროფესიული სტუდენტის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია.

**ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ხუთ კომპანიასთან.

- შპს „მარნეული აგრო“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 15.03.2021)
- შპს. „ფერმა ,არგებელი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 15.03.2021)
- შპს „კუმისი XXI“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 16.03.2021)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- შპს „ჩვენი მამული“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 5.04.2021)
- შპს „უნივერსალი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 5.04.2021)

ხელშეკრულების მიხედვით თითოეული პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გატარებას. ხელშეკრულებები მოიცავს დანართებს. დანართი 1 - კონკრეტულად არის გაწერილი პრაქტიკის ობიექტებზე გატანილი სწავლის შედეგები. დანართი 2 - მატერიალურ ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლების განხორციელება.

ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ სწავლება განხორციელდება სასწავლო გეგმაში მითითებული კვირეების მიხედვით, ერთი კვირით ადრე ეცნობება ბაზას. პრაქტიკის ობიექტებს ერთ ცვლაში შეუძლიათ მიიღონ 15 პროფესიული სტუდენტი. პრაქტიკის ობიექტების ვალდებულებაა უზრუნველყონ მოდულით განსაზღვრული სათანადო პრაქტიკული კომპონენტის გავლა-ათვისება, გამოყონ საჭირო კომპეტენციის ინსტრუქტორები, უზრუნველყონ სტუდენტთა უსაფრთხოება.

ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 6 წელია.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 14 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების დებულება“, რომელიც მოიცავს: შრომის უსაფრთხოების სტრუქტურას, რისკის მართვის ღონისძიებებს, სწავლება ტრენინგებს, საგანგებო სიტყუაციების მართვის გეგმას.

დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, რომელიც განახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს, იგი ჩაატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.

ექსპერტებმა ინტერვიურება განახორციელეს ყველა პარტნიორი კომპანიის წამომადგენელთან. მათ აღნიშნეს, რომ სრულად იღებენ პასუხისმგებლობას იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რაც დაეკისრათ ხელშეკრულებების ფარგლებში. პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური აღსაჭურვი საშუალებებით უზრუნველყოფას მოახდენს კოლეჯი. სტუდენტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას სრულად იღებენ პარტნიორი კომპანიები კომპანიებში სწავლების განხორციელების პროცესში.

დაწესებულებას გაწერილი აქვს წესრიგის დაცვის და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი დამტკიცებულია : შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 14 ბრძანებით.

**ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა შესაძლებელი იქნება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფერმერი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფერმერის“ სასწავლო გეგმა;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებები;
- შრომის უსაფრთხოების დებულება;
- წესრიგის დაცვის და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი;
- ონლაინ გასაუბრების   შედეგები.
- ონლაინ დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

PDF Eraser Free

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულია : შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 12 ბრძანებით) მიხედვით (მუხლი 19. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა), დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, სანდო, ობიექტური/სამართლიანი, გამჭვირვალე.

წესის თანახმად, შეფასებისას გამოყენებული იქნება არადიფერენცირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგი არ დადასტურდა“. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

წესისი მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების პერიოდს, რაოდენობას და ქმნის შეფასების ინსტრუმენტებს.განმსაზღვრელი შეფასებით დადასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა შედეგი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შეფასება უნდა იყოს კომპლექსური, შესაფასებელ პირს უნდა შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არა ცალკეულად, არამედ ურთიერთკავშირში გამოყენება.. განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები ეფუძნება დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ორიენტირებულია კვალიფიკაციის მოთხოვნებზე. განმსაზღვრელი შეფასების პროცესი დასტურდება შესაბამისი შეფასების ფურცლ(ებ)ით და მტკიცებულებ(ებ)ით. შეფასების შედეგები აისახება უწყისში.

კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებებია: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა. აღნიშნულთაგან, პირველი ორი პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება, მაშინ, როდესაც გამოკითხვა უფრო თეორიული - კოგნიტური ცოდნის შესაფასებლადაა რელევანტური. თუმცა, პრაქტიკული უნარების შეფასებისას შესაძლებელია ინტეგრირებულად განხორციელდეს გარკვეული თეორიული ცოდნის შეფასებაც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედეგების დადასტურებისათვის/პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს სამ ეტაპს: მომზადება/შერჩევა, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და ვალიდაცია.

შეფასების ინსტრუმენტი შესაძლოა შეიმუშავოს მოდულის განმახორციელებელმა პირმა, ან დარგობრივმა ჯგუფმა. შესაძლოა ჯგუფის წევრი იყოს მოწვეული სპეციალისტიც. შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს.შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. შეფასების ინსტრუმენტები უნდა გადაიხედოს მინიმუმ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

წარმოდგენილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანხმად განსაზღვრულია ასევ შეფასების რეგულაციებს, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვების, აღრიცხვისა და შენახვის წესი, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის და მისი დანართის გაცემის, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის მართვის სხვა წესები/პროცედურები და პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან დაკავშირებულ სხვა საკითხები.

**ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

დაწესებულების მიერ შექმნილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლი 27. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია) განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ხარისხის მენეჯერის განმარტებით ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იქნებიან დარგის ის სპეციალისტები, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ინსტრუმენტების შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში. მისივე განმარტებით საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მოიწვევს ასეთ სპეციალისტებს.

**ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" (მუხლი 22. შეფასების მტკიცებულებები) განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი. წესის თანახმად ხორციელდება შეფასების მტკიცებულებების (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები, ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილი პროდუქტი, მატერიალური სახით წარმოდგენილი პროდუქტი და სხვ.) სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. ვადის გასვლის შემდგომ მოხდება მათი უტილიზაცია უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესებით. შესაძლებელია რაიმე მტკიცებულება(პროექტი, ფოტომასალა, ხელნაკეთი ნივთი და სხვა) სურვილის შემთხვევაში დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ გადაეცეს კურსდამთავრებულს (ავტორს). მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი მუხლი 25. შეფასების შედეგებზე პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა და შეფასების მონიტორინგი) თანახმად, შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით პერსონალური მონაცემების დაცვის პრონციპის გათვალისწინებით ანუ ინდივიდუალურად. არ მოხდება საჯაროდ კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჯაროვება. შესაძლოა კონკრეტული შემთხვევის ანალიზისათვის შედეგები იქნას განხილული განზოგადოებულად.

ჩანაწერის თანახმად, რაც ასევე დაგვიდასტურა ხარისხის მართვის მენეჯერმა, შესაძლოა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხით, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასებისას, რამდენადაც პროფესიული სტუდენტების შედეგების ანალიზი, ხარისხის განვითარების ერთ -ერთი მექანიზმია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი მუხლი 25. შეფასების შედეგებზე პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა და შეფასების მონიტორინგი; მუხლი 22. შეფასების მტკიცებულებები; მუხლი 27. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფერმერი“;
- ონლაინ გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

**XII. ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

*გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | რძის პროდუქტების წარმოება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში / Secondary Vocational Qualification in Food Production |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0721 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | დმანისის მუნიციპალიტეტი , სოფელი სარკინეთი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 16 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 კრედიტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

### X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

## XI. სტანდარტის შეფასება

PDF Eraser Free

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

#### 2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

შპს შვეიცარიულმა აგრარულმა სკოლა კავკასიამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტის წარმოების" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმად გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე დაეყრდნო დაწესებულების დამფუძნებლების მიერ ჩატარებულ არაერთ კვლევას. კვლევების მიზანს წარმოადგენდა არსებული სიტუაციის ანალიზი საქართველოში, რძის პროდუქტების მწარმოებლების საჭიროებების დადგენა და თანამშრომლობისათვის საუკეთესო პრაქტიკის ობიექტების შერჩევა. შესწავლილ იქნა საქართველოში არსებული რძის პროდუქტების მწარმოებლების მატერიალური და ადამიანური რესურსი, საქართველოში არსებული საქონლის გენეტიკური მახასიათებლები, რძის პროდუქტების მწარმოებლების განათლების დონე, მმართველობის ფორმა, შრომის უსაფრთხოება. შპს შვეიცარიულმა აგრარულმა სკოლა კავკასიამ შეისწავლა ასევე კვლევები, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩატარდა და რომელმაც ცალსახად აჩვენა, ამ მიმართულებით არც თუ სახარბიელო მდგომარეობა საქართველოში. კვლევებმა აჩვენა პირუტყვის და ინფრასტრუქტურის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

დაბალი ხარისხი და ამ სექტორში დასაქმებული ადამიანების თეორიული და პრაქტიკული განათლების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის მათ გაზარდონ და განავითარონ საკუთარი მეურნეობა. წარმოდგენილ დოკუმენტში საუბარია ასევე ქართული ძროხის ჯიშების ნაკლებად პროდუქტიულობაზე, ევროპულ ჯიშეფთან შედარებით რაც ამ სფეროში დასავლური სტანდარტებისა და ეფექტურობის მიღწევას შეუძლებელს ხდის.

PDF Eraser Free

დასაბუთების დოკუმენტში ერთერთ არგუმენტად მოყვანილია, ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც 2017 წლის ზაფხულში, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რძეზე და რძის პროდუქტებთან დაკავშირებით განახორციელა და რომლის თანახმად საჭირო გახდა მიწოდებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა, სტანდარტების დაკმაყოფილება. ამ მოთხოვნამ კი წარმოქმნა კვალიფიცირებული კადრებზე მზარდი მოთხოვნილება და შესაბამისად პროფესიული განათლების მიღების საჭიროება.

საგანმანათლებლო პროგრამის „„რძის პროდუქტების წარმოების“ განხორციელების გადაწყვეტილების მიღების დროს დაწესებულებამ გაითვალისწინა ასევე მათი მჭიდრო კავშირი შვეიცარიაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სასოფლო-სამეურნეო სკოლა - პლანტაჰოფთან, რაც გულისხმობს იმას, რომ რომ კოლეჯში მეცადინეობებს მაღალი კლასის ქართველ სპეციალისტებთან ერთად, შვეიცარიიდან მოწვეული სპეციალისტებიც წარმართავენ და წარჩინებულ პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაცვლით პრაქტიკა პლანტაჰოფის საწარმოებში გაიარონ.

გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ასევე იმან, რომ პროფესიული სასწავლებლის შექმნის პროექტი ხორციელდება კერძო და შვეიცარიული ფონდის Swiss South Caucasus Foundation (SSFC) ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც 20 წელია მეცნიერებისა და განათლების სფეროში მოღვაწეობს.

შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სრული ციკლის შესაძლებლობა ექნება. ის მოამზადებს სპეციალისტებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად როგორც თეორიული, ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

პრაქტიკული კუთხით. პროფესიულ სტუდენტს საშუალება მიეცემა მიღებული ცოდნა ადგილზე განამტკიცოს, დაწესებულების საკუთრებაში არსებულ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ფერმაში.

PDF Eraser Free

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (ბრძანება N5 , 2021 წლის 4 მარტი) რომლის პროცედურების დაცვით განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და დადგინდა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, შეესაბამება მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას (სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027 VI სტრატეგიული მიზანი - დარგის განვითარების ხელშეწყობა) და ერთწლიან სამოქმედო გეგმას (III სტრატეგიული მიზანი N1. საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება, რაც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას/ინიცირებას / პროგრამების შემუშავებას/დანერგვას/განხორციელებას (შვეიცარიული გამოცდილების გაზიარება. მიზანი N2 - სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული მომზადება/ გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების /მასტერკლასების დანერგვა/განხორციელება).

**ექსპერტთა შეფასებით, შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „რძის პროდუქტის წარმოება“ დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 3. ჩარიცხვის პროცედურა), რომელიც დამტკიცებულია შპს “შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის” დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 12 ბრძანებით. წესი ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას.

**ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები, გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის „რძის პროდუქტების წარმოება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (16 სტუდენტი, 2 მიღებაზე) განსაზღვრულია შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ მიერ შემუშავებული -„ პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (2021 წლის 4 მარტი ბრძანება N 5).

მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია შვეიცარიელი პარტნიორების რეკომენდაციები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო (A, B, C), აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საგანმანთლებლო რესურსი, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი.

A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში იტვირთება 50 %- ით. რაც საშუალებას იძლევა მიღებული იყოს პროფესიულ სტუდენტთა ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი პროფესიული სტუდენტის რაოდენობა.

B სასწავლო გარემო ერთ ცვლიანი სწავლების შემთხვევაში იტვირთება 5-6 % - ით.

ინტერვიურებისას დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია ერთი A გარემო და ერთი B გარემო. ორივე გარემოს ფართი მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განთავსების საშუალებას იძლევა.

**ექსპერტთ შეფასებით, დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით და მოთხოვნილი რაოდენობა 16 პროფესიული სტუდენტი 2 მიღებაზე სრულად შეესაბამება არსებულ რესურს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

### 4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მინიმალურ სარეკომენდაციო მოთხოვნებს. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სასწავლო გარემოში (A და B გარემო) არ იყო წარმოდგენილი საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა. კოლეჯის ადმინისტრაციასთან ონლაინ გასაუბრების შედეგად, ასევე შესყიდვის დოკუმენტაციის (კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები) და ხელშეკრულებების (ინვენტარი, მაგიდები და სკამები), ასევე სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ კოლეჯი მაქსიმუმ 5 თვეში სრულად დაასრულებს აუდიტორიების აღჭურვას.
რძის პროდუქტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა), უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. აღსანიშნავია, რომ სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი (ლიტერატურა) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ხოლო აღჭურვილობა საჭიროებს შესაბამის სივრცეებში განლაგებას.

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;.**

შპს „შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიის“ მიერ წარმოდგენილ პროგრამას „რძის პროდუქტების წარმოება“ არჩევითი მოდული არ აქვს.

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

შპს „შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასია“ დაფუძნებულია 10/01/2018 წელს, ხოლო წესდება შემუშავებულია 2020 წლის 21 აგვისტოს. წესდების საფუძველზე დირექტორი - ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და მათი განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურად მინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

**შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტის წარმოება“ სახელწოდება იდენტურია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული სახელწოდებისა და შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

რძის პროდექტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რძის პროდექტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი სასურსათო პროდუქტების წარმოება / Food Production სარეგისტრაციო ნომრით: 09112-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების შესახებ ინფორმაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა , პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსის შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება";
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- დოკუმენტი, წესდება რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ინტერვიურება დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- ონლაინ დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

#### 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დისტანციურად ჩატარებული ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „რძის პროდუქტების წარმოების“განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დადგინდა შემდეგი:
დღეისათვის შპს „შვეიცარიულ აგრარული სკოლა კავკასიას“ გააჩნია მდიდარი ინფრასტრუქტურა:

- 2 ჰექტრამდე (18588 კვ.მ.) არასოსოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სარკინეთში;
- კოლეჯის შენობა ფართით 1507,3 კვ.მ;
- შვეიცარიელი ინჟინრების მიერ დაპროექტებული ყველის ქარხანა ფართით 800კვ.მ;
- მსხივლფეხა საქონლის საველე ფერმა;
- საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის;
- სასტუმრო პერსონალისთვის;
- 15,8 ჰა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სარკინეთში;
- 33 სულიანი ფერმა, რომელიც დაკომპლექტებულია შვეიცარიიდან ჩამოყვანილი საუკეთესო გენეტიკის საქონლით;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი საგანმანათლებლო-საწარმოო გარემო.

რძის პროდექტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიას აქვს რძის გადადამამუშვებელი ბაზა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით და ინვეტარით. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ყველის ქარხნის დანადგარების ინსტალაცია. სამუშოებს აწარმოებენ სამშენებლო კომპანია“ინტეკი“, შვეიცარიულ კომპანია „გრობინჟინერინგის“ და თურქული კომპანია „სტკ მაკინას“ ინჟინრები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. სამუშაოები დასრულდება არაუმეტეს 5 თვეში;

თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის განსაზღვრულია ორი AC და ერთი B გარემო. ონლაინ ჩართვის პერიოდში აუდიტორიები აღჭურვილი არ იყო, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა კომპიუტერების ფოტოები და შესყიდვის დოკუმენტაცია (ასევე ჩუქების აქტი), რითაც დასტურდება 13 კომპიუტერის, 2 პროექტორის და 3 პრინერის ფლობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე ხელშეკრულება (მომსახურების ხელშეკრულება 04.05.21-1) რომლის თანახმად 2021 წლის 31 მაისამდე შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთის შენობის (სკოლის) ოთახების ავეჯით მოწყობას, მათ შორის „რისეფშენის“ მაგიდით, საკლასო ოთახების მერხებით, ბიბლიოთეკის მაგიდებით და ა.შ. ავეჯის სახეობა, რაოდენობა, დანიშნულება და სხვა სპეციფიკაციები მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ღირებულება 70000 ლარი)

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. სამუშაოები დასრულდება არაუმეტეს 5 თვეში.

**ექსპერტთ შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა <u>მეტწილად უზრუნველყოფილია</u> დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
PDF Eraser Free

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

„რძის პროდუქტების წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულებები 12 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სასწავლო გეგმების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს.
**ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა, რომელიც სასწავლო გეგმაში და ხელშეკრულებებშია გაწერილი, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„რძის პროდუქტების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები და განხორციელდა მათთან ონლაინ გასაუბრება. შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა განათლება, სამუშაო გამოცდილება და კომპეტენცია შესაბამისია პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა განსაკუთრებით მაღალი კომპეტენცია.

მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ მთავარი პარტნიორი ორგანიზაცია, შვეიცარიაში ყველაზე წარმატებული აგრარული სკოლა - პლანტაჰოფი, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში უცხოელი პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობას და პროფესიული მასწავლებლების გადამზადებასაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება გეგმავს პროფესიული მასწავლებლების თავისი ხარჯით გადამზადებას და მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარებას, მოდულური პროფესიული პროგრამების სწავლების და სასწავლო პროცესის შეფასების მიმართულებით.

**ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ „რძის პროდუქტების წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

პირადი საქმის გაცნობის და მასთან ონლაინ გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ დაწესებულებას, მიერ „რძის პროდუქტების წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი, მაღალი კომპეტენციის მქონე პირი. იგი კორდინაციას გაუწევს საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებელების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას მიაწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ექსპერტთა დასკვნით პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ექსპერტთა მიერ დისტანციურად, ონლაინ დათვალიერებით, გადამოწმდა „რძის პროდუქტების წარმოების“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ლიტერატურა და დადგინდა, რომ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, ხელმისაწვდომია ელექტრონული ან მატერიალური სახით და შესაძლებელია მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია ყველა სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის მათ მარტივად ხელმისაწვდომობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულების მიერ შემუშავებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი მუხლი 18. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება) თანახმად შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასია განახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიამ წარმოადგინა „რძის პროდუქტების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს 16 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსი და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს სწავლის საფასური, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა დონაციები, გრანტები და დამფუძნებლების შენატანები. პროგრამის ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების /ნედლეულის, კომუნალურის და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან ჩანს, რომ გრანტები და დამფუძნებლების შენატანები ბევრად აღემატება თვითდაფინანსებით/სწავლის გადასახდით შემოსული თანხას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება",
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს  შედეგები;
- ონლაინ დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

### 2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 4 მარტი № 5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" (დემინგის) ციკლის პრინციპებს და წარმოადგინა ასევე დირექტორის 2021 წლის 17 მარტი № 10 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. დასახული მიზნების მისაღწევად კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეული თანამშრომლობს ერთმანეთთან და გეგმავს ითანამშრომლოს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

დაწესებულების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და სხვა.

დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის მართვის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე სასწავლო პროცესის შეფასება, რომლის მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის /პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობას

წარმოდგენილი დოკუმენტით და ხარისხის მართვის მენეჯერთან ონლაინ გასაუბრებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით დაგეგმილია გამოკითხვების ჩატარება რისთვისაც გამოყენებული იქნება ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები, გამოკითხვა, პირისპირ ინტერვიუ, კითხვარების ფორმები, პროცესზე დაკვირვება. მისივე განმარტებით ნებისმიერი სახის გამოკითხვა/შეფასება/კვლევა დაექვემდებარება პრინციპებს, რომელიც გულისხმობს: ვალიდურობას, სანდოობას, მოქნილობას, შინაარსობრივი სიმარტივეს, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" მიერ შემუშავებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ შემუშავებული და შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 4 მარტის № 5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის" მუხლი №4 თვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესებს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობის გაცნობის და მასთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ მის ვალდებულებაში შედის განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზის ან სხვის მიერ შესრულებული კვლევის შედეგების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მის მიერ გაცემული რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის პირს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ისევ მას, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ასევე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ დაგეგმილი პერიოდულობით განხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარედგინება დაწესებულების დირექტორს, საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის შედეგების გაცნობა განხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული მექანიზმებით შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ხარისხის შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში წესების დაცვით ცვლილებების შეტანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო დაწესებულებას სასწავლო პროცესის განხორციელების გამოცდილება არ აქვს, თუმცა წარმოდგენილი შიდა რეგულაციები, ხარისხის სამსახურთან გასაუბრების შედეგები იძლევა იმის საშუალებას რომ დაწესებულებამ გააანალიზოს ხარისხის შეფასების შედეგები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სასწავლო პოროგრამის/ მოდულების ცვლილება განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 4 მარტის № 5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია"
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორის 2021 წლის 4 მარტი № 5 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები;
- შპს "შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის" დირექტორთან გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

### 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „„რძის პროდუქტების წარმოება“ ითვალისწინებს ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს, კერძოდ: 5 ზოგადი მოდული - 15 კრედიტის მოცულობით, 22 სავალდებულო პროფესიული მოდული - 70 კრედიტის მოცულობით.

PDF Eraser Free

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 85 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვი: 115 კრედიტია. პროგრამის ხანგრძლივობაა: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 58 სასწავლო კვირაა და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის სავარაუდოდ 20 სასწავლო თვე.

ექსპერტთა მიერ შესწავლი იქნა წარმოდგენილი სასწავლო გეგმა და დადგინდა, რომ გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. **ექსპერტთ შეფასებით, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია" ამჟამად არ ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დაწესებულებაში ამოქმედდება საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში მომუშავე პირები, არსებულ სტუდენტებს გაუწევენ კონსულტირებას და დაეხმარებიან მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

„რძის პროდუქტების წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, რისი განხორციელებაც უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების როგორც ადამიანური ასევე მატერიალური რესურსით. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ონლაინ გასაუბრების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ პროგრამის განმახორციელებლებს, მათი შემდგომი განვითარების მიზნით, ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრეინინგები, როგორც საკუთარი ძალებით ასევე ისინი ხელს შეუწყობენ მათ მონაწილეობა მიიღონ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას (პანდუსები, ლიფტები, ადაპტირებული სველი წერტილები). შემუშავებული იქნება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა სწავლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ. გეგმა წარედგინება კოლეჯის დირექტორს (დამოწმდება ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით). გეგმის შესაბამისად განხორციელდება პროფესიული სტუდენტის სწავლება , სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია.

**ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 2 კომპანიასთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“  (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 29.03.2021)
- შპს. „აისი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 13.04.2021)

ხელშეკრულების მიხედვით თვითოეული პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გატარებას. ხელშეკრულებები მოიცავს დანართებს. დანართი 1 - კონკრეტულად არის გაწერილი პრაქტიკის ობიექტებზე გატანილი სწავლის შედეგები. დანართი 2 - მატერიალურ ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლების განხორციელება.

ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ სწავლება განხორციელდება სასწავლო გეგმაში მითითებული კვირეების მიხედვით, ერთი კვირით ადრე ეცნობება ბაზას. პრაქტიკის ობიექტებს ერთ ცვლაში შეუძლიათ მიიღონ 15 პროფესიული სტუდენტი. პრაქტიკის ობიექტების ვალდებულებაა უზრუნველყონ მოდულით განსაზღვრული სათანადო  პრაქტიკული  კომპონენტის გავლა-ათვისება, გამოყონ საჭირო კომპეტენციის ინსტრუქტორები,  უზრუნველყონ სტუდენტთა უსაფრთხოება.

ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 6 წელია.

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 14 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების დებულება“, რომელიც მოიცავს: შრომის უსაფრთხოების სტრუქტურას, რისკის მართვის ღონისძიებებს, სწავლება ტრენინგებს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას.

დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი  რომელიც განახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს, იგი ჩაატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.

ექსპერტებმა ინტერვიურება განახორციელეს ყველა პარტნიორი კომპანიის წამომადგენელთან. მათ აღნიშნეს, რომ სრულად იღებენ პასუხისმგებლობას იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რაც დაეკისრათ ხელშეკრულებების ფარგლებში.  პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური აღსაჭურვი საშუალებებით უზრუნველყოფას მოახდენს კოლეჯი. სტუდენტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას სრულად იღებენ პარტნიორი კომპანიები კომპანიებში სწავლების განხორციელების პროცესში.

დაწესებულებას გაწერილი აქვს წესრიგის დაცვის და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი დამტკიცებულია : შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 14 ბრძანებით.

**ექსპერტთა შეფასებით,  სასწავლო პროცესი მიმდინარეობა შესაძლებელი იქნება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოების“ სასწავლო გეგმა;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებები;
- შრომის უსაფრთხოების დებულება;
- წესრიგის დაცვის და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი;
- ონლაინ გასაუბრების შედეგები.
- ონლაინ დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულია : შპს “შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის” დირექტორის 2021 წლის 1 აპრილი № 12 ბრძანებით) მიხედვით (მუხლი 19. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა), დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, სანდო, ობიექტური/სამართლიანი, გამჭვირვალე.

წესის თანახმად, შეფასებისას გამოყენებული იქნება არადიფერენცირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგ არ დადასტურდა“. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

წესისი მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების პერიოდს, რაოდენობას და ქმნის შეფასების ინსტრუმენტებს.განმსაზღვრელი შეფასებით დადასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა შედეგი. შეფასება უნდა იყოს კომპლექსური, შესაფასებელ პირს უნდა შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არა ცალკეულად, არამედ ურთიერთკავშირში გამოყენება.. განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები ეფუძნება დამტკიცებულ პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამას და ორიენტირებულია კვალიფიკაციის მოთხოვნებზე. განმსაზღვრელი შეფასების პროცესი დასტურდება შესაბამისი შეფასების ფურცლ(ებ)ით და მტკიცებულებ(ებ)ით. შედეგები აისახება უწყისში.

კომპეტენციაზე დაფუძვნებული შეფასების მიმართულებებია: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა. აღნიშნულთაგან, პირველი ორი პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება, მაშინ, როდესაც გამოკითხვა უფრო თეორიული - კოგნიტური ცოდნის შესაფასებლადაა რელევანტური. თუმცა, პრაქტიკული უნარების შეფასებისას შესაძლებელია ინტეგრირებულად განხორციელდეს გარკვეული თეორიული ცოდნის შეფასებაც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედეგების დადასტურებისათვის/პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს სამ ეტაპს: მომზადება/შერჩევა, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და ვალიდაცია.

შეფასების ინსტრუმენტი შესაძლოა შეიმუშავოს მოდულის განმახორციელებელმა პირმა, ან დარგობრივმა ჯგუფმა. შესაძლოა ჯგუფის წევრი იყოს მოწვეული სპეციალისტიც. შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული დაგონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს.შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. შეფასების ინსტრუმენტები უნდა გადაიხედოს მინიმუმ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.

**ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

დაწესებულების მიერ შექმნილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლი 27. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია) განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ხარისხის მენეჯერის განმარტებით ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იქნებიან დარგის ის სპეციალისტები, რომელებიც არ იღებდნენ მონაწილეობას შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში. მისივე განმარტებით საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მოიწვევს ასეთ სპეციალისტებს

**ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლი 22. შეფასების მტკიცებულებები) განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი. წესის თანახმად ხორციელდება შეფასების მტკიცებულებების (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები, ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილი პროდუქტი, მატერიალური სახით წარმოდგენილი პროდუქტი და სხვ.) სათანადო აღრიცხვა და შენახვა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. ვადის გასვლის შემდგომ მოხდება მათი უტილიზაცია უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესებით. შესაძლებელია რაიმე მტკიცებულება(პროექტი, ფოტომასალა, ხელნაკეთი ნივთი და სხვა) სურვილის შემთხვევაში დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ გადაეცეს კურსდამთავრებულს (ავტორს). მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი მუხლი 25. შეფასების შედეგებზე პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა და შეფასების მონიტორინგი) თანახმად, შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით პერსონალური მონაცემების დაცვის პრონციპის გათვალისწინებით ანუ ინდივიდუალურად. არ მოხდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

საჯაროდ კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჯაროვება. შესაძლოა კონკრეტული შემთხვევის ანალიზისათვის შედეგები იქნას განხილული განზოგადოებულად.

ჩანაწერის თანახმად, რაც ასევე დაგვიდასტურა ხარისხის მართვის მენეჯერმა, შესაძლოა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხით, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასებისას, რამდენადაც პროფესიული სტუდენტების შედეგების ანალიზი, ხარისხის განვითარების ერთ -ერთი მექანიზმია,

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „„რძის პროდუქტების წარმოება“;
- ონლაინ გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დასაბუთება

**XII. ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

*გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.*

**XIII. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

28.05.2021



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*